სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/426

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2019

ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის
სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფ. რუსუდან წულაძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ზურაბ წვერაიძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**